№ 243
ოთხშაბათი, 16 ნოემბერი 1894

1877—1894

# ივერია

№ 243
ოთხშაბათი, 16 ნოემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია“
გამოვა 1895 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრ. ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакцiя „ИВЕРIА“.

## დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** დღეს, ნაშუადღევის სამს საათზედ, საზამთრო სასახლის ნიკოლოოზის დარბაზში ხელმწიფე იმპერატორს წარუდგნენ რუსეთის დეპუტაციები, რომელნიც პეტერბურგს ჩამოვიდნენ. დეპუტაციები იყვნენ: თავად-აზნაურობისაგან, ქალაქების მმართველობათაგან, ერობისაგან, ვაჭრებისა, მოქალაქეთა ხელოსნებისა და გლეხთაგან, პარიზში არსებულის რუსთა ახალშენისაგან, მოსკოველ მწვალებელთაგან, ტავრიდის გუბერნიის ყარაიმებისაგან, სულ 116 დეპუტაცია იყო. ხელმწიფე ბრძანდებოდა პრეობრაჟენსკის პოლკოვნიკის მუნდირით და მხარზედ გადაგდებული ჰქონდა ანდრეევის ლენტი. შინაგან საქმეთა მინისტრმა წარუდგინა დეპუტაციები. მისმა უდიდებულესობამ ზოგიერთი დეპუტაციები გააბედნიერა და გამოესაუბრა.

13 ნოემბერი

**პეტერბურგი.** დღეს დაქორწინდა ხელმწიფე იმპერატორი. ციხიდგან კიდევ გაისმის ზარბაზნების უკანასკნელი სროლა, რომელიც აუწყებს სასიხარულო ამბავს. ხალხი ქუჩებზედ ჯქუფდება.

**ლონდონი.** დღეს ვინდზორში დედოფალი სადღესასწაულო ნადიმსა ჰმართავს რუსეთის იმპერატორის დაქორწინების გამო.

14 ნოემბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა სენატორთა მიღების დროს ბრძანა: „ბატონებო! ჩემის განსვენებულის მშობლის სახელით მადლობას გიცხადებთ თქვენის შრომისათვის. მე მჯერა, რომ სენატი ჩემთანაც თავისს მოქმედების დროს იხელმძღვანელებს მხოლოდ სიმართლითა და კანონითა“.

**პეტერბურგი.** შუადღისას სასახლის ეტლით დიდი მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის სასახლიდან საზამთრო სასახლეში მობძანდა უმაღლესი სასძლო დიდის მთავრინა ელისაბედ თეოდორის ასულითურთ, სადაც მიეგებნენ ხელმწიფე იმპერატორი, უმაღლესი გვამნი და უცხო ქვეყნელი პრინცები. გამოსვლის დროს წინ მიბრძანდებოდა ქვრივი იმპერატრიცა დანიის კოროლთან ერთად, შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი სასძლოითურთ ლეიბ-გუსარის ფორმით, ანდრიას ჯაჭვით და ჰესსენის ლენტით—უმაღლესს სასძლოს თეთრი, ვერცხლით მოქარგული კაბა და, სიასამურით მოკერილი ფარჩის წამოსასხამი ეცვა და თავზედ ბრილიანტის გვირგვინი ეხურა; თავიდგან ჩამოშვებული ჰქონდა ნარინჯის ყვავილები, რომელიც ვარშავის საიმპერატორო ორანჟერეიდგან იყო მოტანილი. ამათ უკან წყვილ-წყვილად დამწკრივებულნი დიდებულნი მისდევდნენ. ჯვრის წერა გადაიხადა სასახლის მოძღვარმა პროტო-პრესვიტერმა მ. იანიშევმა, უმაღლესის სამღვდელოებითურთ; გვირგვინები დაუქორწინებელს დიდ მთავრებს და საბერძნეთის მემკვიდრეს ეჭირათ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. «Недѣля» ორს გარემოებას აქცევს ყურადღებას, რომელიც ეკონომიურ ვითარებას შეეხება. ერთის მხრივ ამბობს, რომ ხარჯთა აღრიცხვაში შემოსავალი ხარჯსა სჭარბობს და, მეორეს მხრივ-კი ნედოიმკები ჰმატულობენო.

„ამ სახით, ამბობს გაზეთი: სახელმწიფო კასსისა და ხალხის უმრავლესობის მდგომარეობის შორის აღარავითარი მსგავსება აღარ არისო: იქ შემოსავალი სჭარბობს და თავისუფალი ყოფილ არის, და აქ კი, ხალხი ისევ ვალში ჩაფლული, რომ გზა ხსნისა აღარ უჩანს; გამოდის, თითქო სახელმწიფო და ერი სულ სხვა-და-სხვანაირად სცხოვრობენო“.

კასსის შემოსავალმა იმიტომ-კი არ იმატაო, ამბობს გაზეთი, რომ ხალხი ვითომ უფრო შემძლე გამხდარიყოს, არამედ იმიტომაო, რომ გადასახადს მეტს ახდევინებენო. მთავრობამ უპირველესად იმას უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ ხალხს გადასახადი კი აღარ მიუმატოს, არამედ ღონის ძიება მისცეს ეკონომიურის მხრივ განძლიერებისა და განუკეთესობისა.

**

შინაგან საქმეთა სამინისტრო ამჟამად იმის ძიებაშია, თუ როგორ უნდა იყოს შეცვლილი სასოფლო მმართველობის წეს-რიგი. ეხლა შეუდგენიათ კიდეც პროექტი სასოფლო ყრილობების შესახებ. როგორც გაზ. „Гражданинъ“-ი ამბობს ეს საგანი სახელმწიფო საბჭოში შეუტანიათ კიდეც. სამინისტრო თავისს პროექტში იმ აზრისაა, რომ

საჭიროა სოფლის ყრილობებზედ დასწრების და საქმეების გადაწყვეტის უფლება აღარ მიეცეთ იმათ, ვინც ან ქურდობაში, ან სიმთვრალეში, ჩხუბში, საზოგადოდ ცუდ ყოფაქცევაში იქმნებიან შემჩნეულნი და აგრეთვე ვისაც გადასახადი თავისს დროზედ არ შეაქვს.

## უცხოეთი

**ინგლისი.** გაზეთების წერილებმა, პოლიტიკოსებისა და მქადაგებლების სიტყვებმა ზედ-მიწევნით გააგებინეს ინგლისის ერს, რა მნიშვნელობა ჰქონდა განსვენებულს ხელმწიფეს, მაგრამ ყველაზედ უფრო მისი ხსოვნა უკვდავ ჰყვეს ეგრედ წოდებულმა „სატირიულმა ჟურნალ - გაზეთობამ“, რომელთაც დიდი ზედ-გავლენა აქვთ ინგლისის ერზედ. ჯერ უბედურება არ მომხდარიყო, რომ ეს შემაძრწუნებელი მოლოდინი, მშვენივრად გამოსთქვეს სხვა-და-სხვა ნახატებით ზოგიერთმა ჟურნალ-გაზეთებმა. მაგალითად, ფურცელ „Gady“-ში გამოვიდა ერთი სურათი ასეთის ზედ-წარწერით: „მძიმე დრონი და იდეალური ქალი“. «მშვიდობიანობას» მწუხარე აღელვებით ყური მიუგდია ერთის კარებისათვის, რომელზედაც ორთავიანი არწივია დახატული. «Pall-

## ფელეტონი

„დიდ-სულოვანი საქციელი“

(შილლერიდგან)

დრამა და რომანი გვიხსნის ჩვენ უუბრწყინვალესს მხარეს ადამიანის გულისას. აზრი ჩვენი აღიგზნება, თუმცა გული-კი ცივად რჩება, რადგან ის ალი, რომელიც ამ შემთხვევაში გულის ადგილს იჭერს, სწრაფწარმავალია და ჰქრება ხოლმე ცხოვრებაში.

სწორედ იმ წამს, როდესაც რომელისამე პატიოსანის მასხარას უგემური გულ-კეთილობა გულს გვიღელვებს და ცრემლებს გვგვრის, გულ-მოსული ვუტევებთ ხოლმე კარზედ მომდგარს გლახაკს.

ვინ იცის, იქნება სწორედ ეს იდეალურის ქვეყანის წარმოდგენილი ცხოვრებაც ჰლუპავდეს ჩვენს ნამდვილს ცხოვრებას?

ჩვენ ალმა ვფრინავთ აქ ერთსა და იმავე დროს ორს, ერთმანეთის წინააღმდეგს, ზნეობაში, ანგელოზსა და ეშმაკს შორის, და საშუალოს—ადამიანს-კი—ვანებებთ თავს.

აქ მოყვანილს ამბავს ორს გერმანელისას თავ-მომწონე სიხარულითა ვწერ და უტყუარი ღირსებაცა აქვს: ეს ამბავი მოგონილი არ არის, და დარწმუნებულა ვარ, რომ მკითხველს ეს უფრო აუტოკებს გულს, ვიდრე მრავალ-ტომიანი „გრანდისონა“ და „პამელა“ *).

ორს ძმას, ვირტემბერგის ბარონებს, ერთი მშვენიერი ქალი შეუყვარდათ და არც ერთმა-კი არ იცოდა ერთმანეთის გულის - გრძნობა. ორივეს უყვარდათ მხურვალედ და ძლიერად, რადგან პირველად უყვარდათ. ქალი საუცხოო სილამაზისა იყო და თითქო დაბადებულიყო სიყვარულისათვის. ორივემ თავისს გატაცებას აღგზნებამდე მიაღწევინეს, რადგან არც ერთს იმათგანს აზრადაც არ მოსვლია უსაზარლესი განსაცდელი ძმათა მეტოქობისა. ორივენი ფრთხილობდნენ უდროოდ გამოტეხას ქალის წინაშე და ამიტომ ორივენი სტყუვდებოდნენ, მინამ, ბოლოს, ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ არ გამოააშკარავა იმათი გრძნობა. იმათმა სიყვარულმა უმაღლესს ხარისხს მიაღწია. ამ საბრალო გრძნობამ, თითქმის იმდენადვე დამღუპველმა ხალხისამ, როგორც მძულვარებაა, იქამდე შეიპყრო იმათი გული, რომ მსხვერპლი, დათმობა მოუხერხებელი შეიქმნა როგორც ერთისა, ისე მეორე მხრისაგან.

ორისავე უბედურის ძმის სამწუხარო მდგომარეობით ზარდაცემულმა ქალმა ვერ გაჰბედა საქმის გადაწყვეტა ერთ-ერთის სასარგებლოდ და თავისის ბედის გადაწყვეტა ძმათა სიყვარულს მიანდო. დასძლია თავისს მოვალეობასა და ამ საეჭვო ბრძოლას, რომელსაც ისე მალე სწყვეტენ ხოლმე ჩვენნი ფილოსოფოსნი, და რომელსაც ცხოვრებაში კაცი მეტად აგვიანებს, და უფროსმა ძმამ უთხრა უმცროსს:

— ვიცი, რომ შენც ეგ ქალი იმავე მხურვალე გრძნობით გიყვარს, როგორც მე. აქ უფროსობას არავითარი ადგილი არა აქვს. შენ აქ დარჩი, მე-კი შორს წავალ სადმე და ვეცდები იმისს დავიწყებას. თუ ეს მოვახერხე, ძმაო, ის შენია და ღმერთმა გაგაბედნიეროს, და თუ ამას ვერ მოვახერხებ, მაშინ შენ გაემგზავრე და სცადე ჩემსავით.

უთხრა თუ არა ეს, მაშინვე დასტოვა გერმანია და ჰოლანდიას გაემგზავრა, მაგრამ საყვარელის ქალის სახე თავიდგან არა შორდებოდა. სიყვარულის საგანს მოშორებული, განდევნილი იმ ნეტარს ადგილიდან, სადაც შეეძლო კიდევ სიცოცხლე, უბედური ავად გახდა, როგორც ხდება ავად მცენარე, გადმოტანილი ევროპიელის მიერ იმისი სამშობლო აზიიდგან და გადარგული თბილ ჰავიდგან მოუხეშავს ნიადაგზედ. ყოვლად სასოწარკვეთილმა ამსტერდამის მიაღწია, სადაც ცხელებამ ლოგინად ჩააგდო. ბოდვაში თვალ-წინ სულ საყვარელის ქალის სახე—და იმისი მორჩენა ქალის ნახვაზედ იყო დამოკიდებული. ექიმებს იმედი არა ჰქონდათ იმისის გადარჩენისა და მხოლოდ იმითი გამოჰგლიჯეს სიკვდილს ხელიდგან, რომ დაარწმუნეს, შენი საყვარელი ისევ დაგიბრუნდებაო. მოძრავს ჩონჩხს დამსგავსებული და, ნაღვლისაგან საშინლად დაჩაგრული, ძლივს დაბრუნდა იგი თავისს სამშობლო ქალაქში და ძლივს აპამპალდა კიბეზედ თავისს სატრფოსთან და ძმასთან.

— დავბრუნდი, ძმაო! მარტო ღმერთმა იცის, რანაირად ვებრძოდი ჩემს გულს, მეტი აღარ შემიძლიან! სთქვა ესა და უგონოდ დაეცა ქალის მკლავებზედ.

უმცროსმა ძმამ უფროსზედ ნაკლები გამბედაობა არ გამოიჩინა. რამდენისამე კვირის შემდეგ იგი უკვე მზად იყო წასასვლელად.

— ძმაო, შენ შენი დარდი ჰოლლანდიამდის მიიტანე: მე უფრო შორს წაღებასა ვცდი. ნუ მიიყვან ქალს ეკკლესიაში, ვიდრე არ მოგწერო. ამ პირობას ძმური სიყვარული გართმევს. თუ მე შენზედ მეტად გამიღიმა ბედმა, მაშინ ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, შენი იყოს და ღმერთმა მოგახმაროს. თუ არა-და, ზეცამ განგვსაჯოს! მშვიდობით! შეინახე ეს დაბეჭდილი წერილი და ჩემს წასვლამდის ნუ გახსნი. მე ბატავიაში მივდივარ.

ამ სიტყვებით შეხტა ეტლში და წავიდა. დარჩენილები ცოცხალმკვდარნი შესცქეროდნენ გზას. ამან გადაამეტა ძმის დიდ-სულოვნობას. უკეთილშობილესის ადამიანის დაკარგვის გამო აღძრულმა სიყვარულმა და მწუხარებამ შეიპყრო დარჩენილის ძმის მთელი არსება. მიმავალის ეტლის ხმაურობა თითქოს მეხივით მოხვდა იმის გულს. იმისი სიცოცხლე განსაცდელში იყო. ქალი... მაგრამ ქალისა რა უნდა ვთქვა, ამ ამბის დასასრული გვეტყვის იმის ამბავს!

დაბეჭდილი წერილი გახსნეს. ამ წერილში წასული ძმა მთელ თავისს ქონებას, რაც გერმანიაში დარჩა, ძმის სახელობაზედ სტოვებდა, თუ რომ ბედი გაუღიმებდა ბატავიაში. თითონკი ჰოლანდიის ვაჭრების გემით გაემგზავრა და მშვიდობიანათ მივიდა ბატავიაში. რამდენისამე კვირის შემდეგ ძმას მისწერა:

*) „გრანდისონ“ ინგლისის რომანების მწერალ-ქალის რიჩარდსონის რომანში სათნოების გმირის სახელია, აგრეთვე „პამელა“ ც.

Mall Budget»-ში დიდად დანაღვლიანებულს ევროპას ხელები მაღლა აუპყრია და ჰლოცულობს, რათა დაცულ იქმნას სამწუხარო გამოურკვევლობისაგან. „Fun“-ში «მშვიდობიანობის» სურათი მიცვალებულის ცხედართან სდგას, ქვეშ წარწერილია: „მე მეგობარი დავკარგე!“ მაგრამ ყველაზედ შესანიშნავი ყოველ კვირეული გაზეთის „პონჩის“ მხატვრობაა. მშვენიერი, დიდებული სურათი „მშვიდობიანობისა“ სდგას ხელმწიფის კუბოსთან. ქვეშ აწერია: «ეს არის უმთავრესი ქირისუფალი»! ამის ქვემოთ თითქოს გრძნობის ასამაღლებლად დაბეჭდილია ლექსი, რომელშიაც აღწერილია მოქმედება განსვენებულის ხელმწიფისა და ასეა დამთავრებული: „აი რისთვის, დიდებულო თვით-მპყრობელო, მშვიდობის მოყვარეთა გული სიყვარულით გიხსენიებს შენ“. პატარა პოემა ასე თავდება: «დიდებულის მეფის სარეცელთან, იმ მეფისა, რომელიც რამდენისამე ხნის წინად მბრძანებელი იყო უთვალავის ლეგიონებისა, უმთავრესს ქირისუფლად სდგას, „მშვიდობიანობა“ და მოწიწებით სდებს ზეთის-ხილის შტოს იმის გმირულს მკერდზედ, რომელმაც წყნარად შესწყვიტა მოქმედება».

—

**აღმოსავლეთის ომი.** ჩინელების ბისმარკის ლი-ხუნ-ჩანგის საქმე ძალიან ცუდად არის ამ უკანასკნელს დროს. ამას სხვათაშორის, ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ სხვა-და-სხვა ჩინეთის კარიკატურული ჟურნალები აღარ ეშვებიან ამ სახელმწიფო კაცს და სულ სასაცილოდ იგდებენ. ამ გვარ კარიკატურებს ყველგან ავრცელებენ და ჰიამენას კედლებზედაც-კი გააკრეს თურმე. აქ ასეა დახატული ლიხ-უნ-ჩანგი: კუზედ არის შესკუპებული და ჩინეთის გემს ჰლუპავს ზღვაში. იღლიაში ერთი უშველებელი ზარბაზანი აქვს ამოჩრილი. სატირიული ჟურნალები ამ ჟამად სულ ვანგ-პაოს სახელით იხსენიებენ და ამ სიტყვაზედ ბინძური ხომ აღარა მოიპოვება-რა ჩინურს ენაში.

—

**საფრანგეთი.** გაზ. Times“-ში მოყვანილია დაწვრილებით ამბავი მადაგასკარის შესახებ, რომელიც ამ უკანასკნელ ხანში ევროპას ალაპარაკებს.

გაზეთის სიტყვით, საფრანგეთის საქციელი მადაგასკარის შესახებ სრულად კანონიერად უნდა ჩაითვალოს. საფრანგეთს იმის მეტი აღარა დარჩენოდა-რა, რომ დაეპყრო სულ და ან უფრო სასტიკ ღონისძიებანი ეხმარა. საფრანგეთია მადაგასკართან კავშირი პირველად XVII საუკუნეში დაიწყო. რადგან ამ უკანასკნელს ხანში ევროპიის სახელმწიფოებმა საახალ-შენო პოლიტიკას მიაქციას ყურადღებაო, ამიტომ საფრანგეთმაც მოისურვა მადაგასკარში უფრო მაგრად ფეხის მოკიდება. 1881 წელს საფრანგეთსა და ჰოვასსას მმართველობას შუა რაღაც უთანხმოება დაიწყო, რესპუბლიკამ ისარგებლა ამითი და მრავალი მოთხოვნილება წარუდგინა ჰავასსებს. ესენი არაფერზედ არ დაყაბულდნენ და საფრანგეთმაც ომი გამოუცხადა. 1885 წელს მეომართა შორის ხელშეკრულობა დაიდო, რომლის ძალით საფრანგეთს უფლება მიენიჭა მადაგასკარის უზენაესის მმართველობისა, თუმცა სიტყვა უზენაესი მმართველობა არც-კი იყო ნახმარი. ჰავასები სულ მუდმივ წინააღმდეგობაში იყვნენ და საფრანგეთის განკარგულებას უარსა ჰყოფდნენ.

1890 წელს ინგლისმა შეიწყნარა საფრანგეთის უზენაესი მმართველობა, მაგრამ ამის-და მიუხედავათ ჰავასის მთავრობა, არამც თუ არ კისრულობდა საფრანგეთის ბატონობას, არამედ სულ ომის სამზადისში იყო. ჰავასები სხვაფრივ ვერც მოიქცეოდენ, რადგან ომს იმათთვის შვების მოტანა შეუძლიან თუ მათთვის სასურველი ბოლო მოჰყვა და თუ არა, რას დაჰკარგავდნენ, რა მდგომარეობაშიაც ეხლა არიან, იმაზედ უარესი ხომ არა დაემართებათ-რა. ჰავასებს ომის მოგების იმედი დიდი აქვთ. გადაუწყვეტია უომრად დაუთმონ საფრანგეთს ზღვის პირის ნაწილები და თავისი სამფლობელოკი დაიცვან. Times-ის სიტყვით ჰავასების სურვილი შესაძლოა განხორციელდესო. საფრანგეთის ჯარს, რომელსაც 15,000 კაცი შეადგენს, ძალიან გაუძნელდება მოქმედება მადაგასკარში, სადაც ცუდი ჰავა არის, გზები არ მოიპოვება და სურსათსაც მოკლებულნი იქმნებიანო.

ჰავასების ჯარს-კი შეადგენს 70,000 კარგად შეიარაღებული ჯარის კაცი.

## კორესპონდენცია

—

**სოფ. წესი** (რაჭის მაზრა), 11 ნოემბერი. ჩემი ჯამაგირი 200 მანეთია წელიწადში; რომ ვიანგარიშოთ, მგონი ცივის მჭადის მეტის ჭამის ღირსიც არ ვიყო. მაგრამ მე ჯამაგირს როდი ვწუნობ, ან ჯამაგირის, ე. ი. ბევრის ფულის ინტერესიც არა მაქვს, მხოლოდ მიყვარს მცირე წლოვანთ აღზრდა და რა დავინახავ მათგან ჩემ მიერ შეგნებულის ნაყოფს ის მასიამოვნებს და მამხიარულებს, რომ შემძლებია და ჩემი ცოდნა სხვისთვის გარდამიცია. შარშან ასე მომილოცა ზოგიერთმა შეგნებულმა კაცმა, რომ ამ წლიდგან ჯამაგირს ხაზინიდგან მიიღებთ და მამასახლისების თხოვნა-ვედრება არა გჭირიათო. მართლაც, ეს ასე იყო. მაგრამ თუ მამასახლისმა ფული წარადგინა, ხაზინა გვიგზავნის ყოველ მეორე თვის 27-ს რიცხვებში ხვედრ ორის თვის ჯამაგირს, მაგრამ ჯერ კიდევ იმედი არავისთვის აქ მგონი არ არის გამართლებული. თუ მამასახლისს რაიმე პატივისცემას გაუწევთ და თუ ბევრს არა, ერთ სადილს ვაჭმევთ მამასახლისს, ეგების თავისს დროზედ ხაზინიდგან ჩვენი ჯამაგირი მოგვივიდეს თუ არა და, არც იმისთვის დასწყდება გულს, ამ ჩვენს ჯამაგირს სარგებლით გასცემს და იქიდგან რამდენსამე თვეს კარგად ისარგებლებს;

აი, მაგალითად, რა ჰქნა აქ მამასახლისმა. იანვარში მოკრეფილი 200 მანეთიდგან ჩემთვის მარტო 100 მ. გაჰგზავნა, რომელიც მივიღე ივნისის გასულს ამ წლისა, დანარჩენი ფული უნდა მიმეღო, როგორც ზემოდა ვსთქვი, ყოველ მეორე თვეზედ, მაგრამ ჯერ არსად არის, აი დღეს 11 ნოემბერია, მეხუთე თვისა კაპეიკიც არ მიმიღია. მე უნდა ვიტანჯებოდე ასე, თუ ის ვისიც სახლი და კარი აქ არის და ჩემი ლაპარაკი კიტრადაც არ მიუღია. ვსთხოვე ვისიც ჯერ იყო და ასე მიბრძანა „ნუქნო ტერპეთ, ინაჩე ნელზიაო“. სანამდის ეს ტერპეთ, აღარ ვიცით, მე-კი შიმშილი მომკლავს... კარგი იქნებოდა შინიდგან წამომეღო ცოტაოდენი ფული და ის მეხარჯა, მაგრამ ისიც შემრცხვა და მართალიც რომ, ვსთქვა, არც იმდენად მდიდარი ვარ, რომ ჯამაგირზე მეტი ვხარჯო; ნუ თუ მომავალის დროსთვის მაინც არ შეეცდებიან, რომ გააუმჯობესონ სოფლიდგან მოკრეფილის ფულის დროითვე თავისს ადგილზედ წარდგენა; მით უფრო საყურადღებოა ეს ამბავი, რომ საწყალმა გლეხებმა სამის დღის განმავლობაში მოუკრიფეს ჩემის ჯამაგირის ფული იანვარში, ასე ამბობდნენ „ჩვენი უჩიტელი« უცხო კაცია, რისამე ყიდვა დასჭირდება და ადრე უნდა ჯამაგირის მიღებაო“...

დავით ივლიანის ძე ერქომიშვილი

---

**სოფ. ასკანა.** (ოზურგეთის მაზრა) ყველას, დიდს თუ პატარას, სწავლულს თუ უსწავლელს, დიდი სიხარული აღგვეძრა გულში, როდესაც სოფელში ხმა გავარდა: «ჩვენს სოფელში წიგნთ-საცავი არსდებაო“, დიდს მადლობას ვუძღვნიდით იმათ, რომლების მეთაურობითაც ეს რა საქმე იწყებოდა. მართლაც, ღირსი იყვნენ ისინი მადლობისა. ეხლა-კი, ორი წელიწადი მიდის რაც ამ სოფელში წიგნთ-საცავის დაარსება დაიწყეს, და ის იმედების და სიხარულის ნაპერწკალი, რომელიც უწინ გაგვიჩნდა გულში, თან-და-თან გვიქრება. აი რა არის ამის მიზეზი: წიგნთ-საცავის დაარსებისთვის საჭირო ფული საკმარისად მოკრებულია კარგახანია, მაგრამ წიგნთ-საცავს-კი ვერ ვეღირსენით. თუმცა რამდენისამე მანეთის წიგნები-კი არის ნაყიდი, მაგრამ ჯერ ვერც იმის წაკითხვას ვეღირსევით, რადგანაც არვიცით სად და ვისა აქვს შენახული. აგრეთვე არც ის ვიცით შეგროვილი ფულები ვის ხელშია ვინ როგორ ამუშავებს და რა მიზეზია ამ ფულების ასე უსარგებლოდ გაჩერება?!.

კარპეზ ლოთაძე

# ახალი ამბავი

—

$*_*^*$ დღეს, 16 ნოემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, კავკასიის საექიმო საზოგადოების კრებაა დანიშნული, საპიორნის ქუჩაზედ, ისარლოვის სახლებში.

$*_*^*$ ცხენის რკინის გზის ვაგონს ქვეშ 14 ნოემბერს მოჰყვა 8 წლის გიორგი ქავთარაძე. საბრალო საავადმყოფოში გაჰგზავნეს და იმავე დღეს გარდაიცვალა.

$*_*^*$ მ. შარაძეს და ამხანაგობის სტამბას მოუვიდა ბ-ნ ფ. ქორიძისაგან დ. ზ. დუმბაძეთაგან ნოტებზე გადაღებული შემდეგი საგალობლები 1) „მშვენიერმან იოსებ“, ჰრელი; (2 „სიჭაბუკისა ყვავილი“ ჰრელი; 3) „კურთხეულ არს მომავალი“; 4) წმინდაო წმინდაო ჰრელი“ 5) „რომელმან დახშნა უფსკრული“, ჰრელივე; 6) „მოვედით თაყვანის ვცეთ“, მღვდელმთავრისა, და 7) „რომელი ქერაბინთა“, მარტივი.

---

აქ მაღალის ღმერთის მოწყალებით, აქ, ახალს მიწაზედ შენსა და ჩვენს სიყვარულის ფიქრში ვარ და ამ ფიქრითა ვსტკბები როგორც მოწამე. მრავალმა ახალმა სანახავმა და სხვა გარემოებამ აამაღლა ჩემი სული და უფალმა-კი მომცა ღონე ეს უდიდესი მსხვერპლი შენის მეგობრობისათვის შემეწირა... ოჰ, ღმერთო! ცრემლი გადმომვარდა—უკასკნელი ცრემლი.. ჩემს თავს დავსძლიე: შენი იყოს ეგ ქალი! ძმაო ეგა რც უნდა ყოფილიყო ჩემი, ესე იგი, ბედნიერი არ იქნებოდა ჩემს ხელში, თუ ჰფიქრობდა როდისმე, რომ ბედნიერი იქნებოდა ჩემს ხელში... ძმაო! ძმაო! მიმძიმს მაგისი შენთვის ჩაბარება!.. არ დაივიწყო არას დროს, რა ძნელი იყო შენთვის მაგისი შეძენა. მაგ ანგელოზს ყოველთვის ისე ეპყრობოდე, როგორც შენმა ახალმა სიყვარულმა გასწავლოს! გაუფრთხილდი ისე, როგორც ძვირფასს საწინდარს შენის ძმისას, რომელსაც შენ ვეღარას დროს ვეღარა ჰნახავ. მშვიდობით! ნურაფერს ნუ მოსწერ შენის ქორწინებისას. ჩემი ჭრილობა ჯერ ისევ წყლულად არის. მომწერე მხოლოდ, რომ ბედნიერი ხარ. ჩემი საქციელი თავმდებია ჩემი, „რომ ღმერთი არ დამტოვებს აქ, უცხო ქვეყანაში“.

დაქორწინდნენ. ერთს წელიწადს გასტანა ბედნიერმა ცოლ-ქმრობამ. შემდეგ ქალი გარდაიცვალა. სიკვდილის წინად თავისს მახლობლებს საშინელი საიდუმლო გადასცა, აქამდე გულში დამარხული, გამოუცხადა, რომ წასული ძმა უფრო მიყვარდა, ვიდრე დარჩენილი—ჩემი ქმარიო.

ორივე ძმები ჯერ ცოცხლები არიან. უფროსი თავისს მამულში სცხოვრობს, გერმანიაში, და მეორედ არის ჯვარ-დაწერილი. უმცროსი ისევ ბატავიაშია და ბედნიერადა სცხოვრობს. აღთქმა დასდო, ცოლი არას დროს არ შევირთოვო, და კიდეც შეასრულა ეს აღთქმა.

ნინო ყიფიანისა

## გურიის ავ-კარგიანობა

—

ძლივს ვეღირსეთ გურულები მყუდრო ცხოვრებას, ძლივს მეძლევა შემთხვევა, რომ ცოტაოდნად სასიამოვნო ამბები ვაუწყო მკითხველებს. ეს სასიამოვნო ამბები იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენში ეხლა ყაჩაღების „ბაიბური არ ისმის“, შარა გზაზედ ცარცვა-გლეჯა არ ხდება, ეგზეკუცია არ გვარბევს, დარაჯთა გუნდი სულს არ გვიხუთავს, ჯარიმა არ გვხდება და წვით და დაგვით ნაშოვარი ჩვენი ორი გროში ისევ სკოლებზე, გზებზე და საზოგადო საჭიროებაზე იხარჯება. ხოლო იმაში ეჭვი არავის გვაქვს, რომ ყველა ეს იმ პოლიტიკის ბრალია, რომელსაც ახალი მაზრის უფროსი ჩვენი ქვეყნის მართვაში ადგია. ყველასაგან ცნობილი და თითქმის საანბანო ჭეშმარიტებად აღიარებულია, რომ სიმკაცრეს, სისასტიკეს უბედურების მეტი არაფერი მოუმკია და ვერც მოიმკის. შეუბრალებლობა, შურის გება მმართველის მხრით, ყოველთვის სამაგიეროს გარდახდის, ზღვევის სურვილს გამოიწვევს მკვიდრთა შორის და არა გულის დანდობას. ამისთანა მმართველი ძნელად თუ მიაგნებს რომელიმე საზოგადო სენის მიზეზს, რადგან მის ხელში ხალხი გულ-ჩათხრობილია და წყლულზე მას ხელს არ აკარებინებს. სასტიკი მასწავლებელი სკოლას ჯოჯოხეთად ხდის და მოსწავლეებს აფრთხობს,—სასტიკი მმართველი თვით ცხოვრებას ხდის ჯოჯოხეთად და ცოტა რამ მიზეზია საჭირო, რომ ამისთანა მმართველის ხელში კაცმა ტკბილს ოჯახის კერას თავი ანებოს, ყაჩაღის ეკლით მოცულს გზას გაუდგეს და მობეზრებული სიცოცხლე თოფის პირს გაუსწოროს. თვით ისტორია ამის უტყუარი მოწმეა: ბარბაროსი მმართველის ნაკვალევი ყოველთვის სისხლით მორწყულა და ხშირად სრულიად უმანკო სისხლით. მუშტი და მათრახი რომ მაინცა და მაინც უებარი წამალი არ ყოფილა, ამის მაგალითიც თვალ-წინ გვედგა. გურიის სოფლებს ეგზეკუცია იკლებდა, ყველგან თოფის გრიალი ისმოდა და სიკვდილის სუნი ტრიალებდა; გორში ამართული სარჩობელა მთელს საქართველოს ზარავდა სიგძე-სიგანეზე და ჯალათის უკმეხი ღაღადი „აბა ძმობილო გაითამაშეო“ თოკზე გამოკიდულის სვე-უბედურის მიმართ ერუნტელს გვგრიდა ყველას და სწორედ ამ სასტიკს დროს გურულები ათობით და ოცობით ვსთვლიდით ყაჩაღებს. შარა გზაზე ისე ვერ გაივლიდი, რომ მძიმე ხარკი არ გაგეღო და თუ ხელ-მოკლე იყავი, ერთს ლაზათიანად მიგბეჟავდნენ, რატომ უფულო შეგვეჩხეო. რა იყო ამის მიზეზი? ის რომ სიმკაცრით მოინდომეს იმ ხალხის ალაგმვა, რომლის თავ-მოყვარეობაზე ბევრი თქმულა და კვლავ ითქმება საქართველოს პირზე. მერე კიდევ ვინ არჩევდა მტყუანს ან მართალს! ერთიც და მეორეც ამ სიმკაცრის ტაფაში ვიხრაკებოდით. ამ დროს საითკენაც არ გაიხედავდი, ყველგან ამას გაიგონებდი: „სოდომგომორში რომ ათი მართალი აღმოჩენილიყო, ღმერთი შეიწყნარებდა ამ ქალაქსაო და ჩვენში-კი ათი დამთხვეულის წყალობით სამოც-და-თხუთმეტი ათასი მკვიდრი ამოგვიშვესო“. თავად ამგვარს მმართველებზე თქმულა: „Не суда боюсь, но взора твоего немилосерднаго“! სწორედ ამ „ნემილოსერდნი ვზორმა“ დააფეთა ხალხი და ვისაც ცოტაოდენი დანაშაული მიუძღოდა, ყველა სამართალს გაურბოდა და ხიფათით სავსე ყაჩაღის ცხოვრებას რჩეობდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ სამართალთან მისვლამდის ათასი შეურაცხყოფა უნდა მიეღო, ათასს ცეცხლში და კოცონში უნდა გაევლო და იქნება სამართალთან მისვლამდის სულიც-კი დაელია. ძველადვე შენიშნულია, რომ გურული მეტად თავმოყვარეა, ცოტა რამ მიზეზია საჭირო რომ მოთმინებიდგან გამოვიდეს და თავი გაიმეტოს. მით უმეტესის მადლობას არავის ეტყვის მათრახისათვის. ეს კარგად შეიგნო ახალმა მაზრის უფროსმა და ამასთან ისიც გაიგო, რომ ყველა ის ქვეყნის დამაქცევარი არ არის, ვისაც ძველი ჩვენი პატრონები ხელს აღებდნენ და დამნაშავის მისაგნებად საკუთარი თვალთა ხედვაც არის საჭირო ხელქვეითების „პროტოკოლებთან“ ერთად. მიხვდა აგრეთვე, რომ ხალხის საჭიროებას, მათს გულის ტკივილის, მის იარას ხალხთან დაახლოვებით უფრო ადრე გაიგებ, რომ ამ შემთხვევაში სოფლის ერთგულის, სანდო ადამიანების რჩევა უფრო სანდოა, მინემ ზოგიერთი მამასახლისების მოხსენება და მოსვლისათანავე შეეცოდა, რომ ხალხის

*** გაზ. „Тиф. Лист.“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ უმაღლესის ბრძანებით თეატრებში წარმოდგენები და საზოგადოდ ყოველ გვარი გასართობი 15 ნოემბრიდგან ნება დართულიაო.

*** ქ. დუშეთი. დღეს, 13 ნოემბერს თოვლი მოგვივიდა.

*** სოფ. ამში (იგივე ნაცვალაანთ-კარი). ამ დღეებში აქ გარდაიცვალა ხოლერით გლეხი ივანე ნაცვალაშვილი. დუშეთიდგან გაიგზავნა მაზრის ექიმი შესამოწმებლად. გარდაცვალებული ხოლერიანი აღმოჩნდა. რადგანაც ნაცვალაანთ-კარი დუშეთიდგან სულ სამს ვერსზეა და ადვილად შეიძლება ხოლერა თვით დუშეთშიაც გაჩნდეს, აქ ეხლავე შეუდგნენ გაფრთხილებასა. სანიტარები ავალებენ ყველა მცხოვრებლებს, სუფთად შეინახონ კარმიდამო და სხ. შენობები. აქაურები უკვე შეუდგნენ დასუფთავებას.

*** სოფ. კოდა (ატოცის საზოგადოება, გორის მაზრა): 8 ნოემბერი. სწორედ სამწუხაროა ჩვენებურების ყოფა-ცხოვრება; ქურდობამ, ავაზაკობამ და ყოველ ნაირმა ავხელობამ წელში გაგვტეხა; ეს უკურნებელი სენი დიდის ხნიდგან გამეფებულა და ისე მტკიცედ გაუდგავს ფესვი, რომ დღემდისაც არ იქმნა არას გზით მისი საფუძვლიანად აღმოფხვრა. 6 ნოემბერს ღამის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც სოფ. კოდაში მცხოვრებელის გლეხის ივანე იოსების ძის ძაბახიძის სახლს ეწვივნენ ქურდები. ბატონს ავაზაკებს ისე გაუძლვიათ ხსენებულის ძამახიძის ოთხფეხები, რომ ყეფის თავი აღარა ჰქონიათ; მისულან საფუტკრესთან და მოუპარავთ ოთხი ძირი ფუტკარი; ბგოლის თავი გაუტეხიათ და ორი კალათი ყურძენი იქიდგან წაუღიათ; გარდა ამისა, საწვიმარის ტერი აუხდიათ და ორი კალათი ვაშლიც აუწაპნავთ. გლეხ-კაცმა გამოუცხადა ეს ამბავი ადგილობრივ მამასახლისს, რომელმაც ქურდების ბევრის ძებნის შემდეგ აღმოაჩინა; რომ ქურდები ყოფილან სოფელს ყობში (ატოცის საზოგადოების) მცხოვრებელნი ოსები, რომელთ წინამძღოლადაც ყოფილა ხსენებულისავე ძამახიძის ოსი-მეზობელი; მამასახლისმა ქურდები სამართალს გადასცა.

## რუსეთის ცხოვრება

ამ ჟამად პეტერბურგში დიდ-ძალი უცხო ქვეყნის კორესპონდენტები იმყოფებიან და ყოველს ცნობას თავიანთს გაზეთებს დეპეშებით ატყობინებენ. გაზ. „Пет. Газ.“ სიტყვით, „Daily Nevs“ დეპეშა, რომელიც ხელმწიფის დასაფლავებას შეეხებოდა, ექვსასი თუმანი დამჯდარა, „Daily grafic“-ს დეპეშა—სამასი თუმანი და საზოგადოდ-კი თითო უცხო ქვეყნის გაზეთს დეპეშა, ორთა შუა რიცხვით, ას-ორმოცდა-ათ თუმნამდე უჯდებოდაო.

ხელმწიფე იმპერატორის დაქორწინების გამო ყველა სასწავლებლებში მოსწავლენი სამის დღით დაითხოვეს. სწავლა ხუთშაბათამდის აღარ ექმნებათ.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

ამ ჟამად, როგორც უკვე ცნობილია, საფრანგეთის გამოჩენილი რომანების მწერალი ემილ-ზოლა რომში იმყოფება. იგი ამ ქალაქში იმიტომ მისულა, რომ შეისწავლოს ეს „საუკუნო“ ქალაქი, რადგანაც მის მიერ განზრახულის რომანის მომქმედნი პირნი ქალაქში მცხოვრებელნი იქნებიან. ეს მოთხრობა „ლურდის“ გაგრძელება იქმნება. უცხო ქვეყნელი გაზეთები მოგვითხრობენ იმ მეჯლიშის ამბავს, რომელიც იტალიის მწერლებს გაუმართავთ ზოლასთვის. ამ მეჯლიშზე მრავალი სადღეგრძელო დალიეს თურმე. ზოლამ პასუხად, სხვათა შორის: სთქვა: „ბატონებო! თქვენს დიდებულს რომში, საიდგანაც გავრცელდა მთელი ლათინური სწავლა განათლება, მე მხოლოდ აზრისა და ხელოვნების მწირი, მხოლოდ უკანასკნელი მსხუში ვარ და შემიძლიან მოგახსენოთ, რომ ჯერ არასოდეს კიცო რა და ამის მეტი სხვა არა მინდა-რა, რომ სიმართლე გავიგო. მე არ შემიძლიან რომელსამე აზრს, ან რომელსამე დასს მივემხრო. არავითარი საქმე არა მაქვს რწმუნებული, თქვენს წინ ჩემის ნებით გამოვცხადდი, გამოვცხადდი ჩემის ხელოვნებისა და სარწმუნოების სახელით. გამოვცხადდი იმ ერთად ერთის იმედით, რომ ნათლად შევიგნო ის დიდებული საგნები სარწმუნოებისა და მშვიდობიანობის შესახებ, რომელიც აღელვებს მთელს კაცობრიობას. ჩემი ერთად ერთი სურვილია, ყველაფერი შევიგნო და არაფრის შესახებ ისე არა ვსთქვა-რა, ვიდრე არ შევისწავლი და ჩემის თვალითვე არ ვნახავ. მე მრწამს, რომ მე თქვენ ისე მცემთ პატივის, როგორც მცირე და კეთილს სინდისიერს მუშაკს, დამოუკიდებელს მწერალს, რომელიც მხოლოდ იმიტომ მოვიდა თქვენთან, რომ აქ იმუშაოს და იშრომოს. როდესაც იტალიის საზღვარი გამოვიარე, ბატონებო, სიტყვა მივეც ჩემს თავს, პოლიტიკის შესახებ ხმას არ ამოვიღებ მეთქი და მგონია, პოლიტიკის შესახებ-კი არა, კაცობრიობის გამო იქნება საუბარი, თუ ძმათა და მეზობელთა შორის ვსთქვი, რომ კაცობრიობის გენიოსობის პატივისცემა გვავალებს საერთო შორისო მშვიდობიანობა ვინატროთ. მართალია ჩვენ, პოეტები და, შეიძლება, წინასწარმეტყველებიც, ოცნებაში ვართ გასვეულნი, რომელთაც დასცინიან ხოლმე, როდესაც ჩვენ საერთო შორისო კეთილ დღეობის შესახებ ვლაპარაკობთ, მაგრამ ეს ოცნება, სხვა რომ არ იყოს-რა, ცოტად მაინც შეუმცირებს ტანჯვას, ნუგეშინსა სცემს კაცობრიობას და ესეც დიდი სიკეთეა. ამ ერთი წლის წინად პატივი მქონდა დავსწრებოდით ჟურნალისტების კონგრესს და ის აზრი წარმოვსთქვი, რომ ყოვლად შემძლებელმა მწერლობამ, როდესაც მთელს კაცობრიობას მოიცვამს, საერთა შორისო საზოგადოება უნდა შეადგინოს კაცობრიობის აზრისა. რათა უთანხმოებანი მოსპონ შეკამათებულნი მოარიგოს და დაამკვიდროს სამეფო სამართლიანობის და ჭეშმარიტებისა. რადგანაც დღეს მე ევროპის მეორე განაპირას, იტალიის მწერლების წარმომადგენელთა შორისა ვარ, ნება მომეცით, ბატონებო და მეგობრებსნო თანა მოძმენო, კვლავ დავლიო სადღეგრძელო გონების გაძარჯვებისა, და ძმობისა, რომელიც უნდა შექმნას ხელოვნებამ და ლიტერატურამ.“

## „ივერიის“ რედაქციისაგან

ამას წინად გაზეთმა „კვალმა“ დაჰბეჭდა წერილი ბ-ნის დოლიძისა, რომლითაც დოლიძე ეკითხებოდა ჩვენს რედაქციას, რა იქმნა ის სამი თუმანი, რომელიც განსვენებულ ალ. ყაზიბეგის გვირგვინისათვის იყო გამოგზავნილი განჯიდამაო. დაჰბეჭდა რა ეს წერილი უსხოლიოოდ, ამითი თითქოს თვით „კვალის“ რედაქციამაც თანაუგრძნო ბ-ნს დოლიძეს და კვერი დაუკრა იმის ნათქვამს, რომ საქველ-მოქმედო აზრით შეკრებილი და „ივერიის“ რედაქციაში გაგზავნილი ფული იკარგებაო.

„ივერიის“ რედაქციამ მაშინვე პასუხი გასცა და განუმარტა კიდეც, რა ქმნილიყო ეს ფული. განუცხადა, რომ ეს ფული «ივერიის» რედაქციამ გადასცაო ალ. ყაზიბეგის დასაფლავების საქმის გამგებელს, რომლის ხელი-წერილი ამ ფულის მიღებისა „ივერიის“ დავთრებში არის დაცულიო, და უმორჩილესად სთხოვდა „კვალის“ რედაქციას, ეს პასუხი გადაებეჭდა თავისს ფურცლებზედ ბ-ნ დოლიძის პასუხადა და სხვათა მისთა მკითხველთა საგულისხმოდ.

რასაკვირველია, ამ უმორჩილესის თხოვნის აუსრულებლობა ყოვლად წარმოუდგენელი იყო, რადგან ამ თხოვნის შესრულებას „კვალის“ რედაქცია ავალებდა როგორც ლიტერატურული, ისე ყოველი სხვა ზრდილობა, მაგრამ „კვალმა“ ეს არა ჰქმნა და ამ პასუხის დაბეჭდვა არ ინება. საფიქრებელი იყო, რომ „კვალმა“ ჭეშმარიტების აღსადგენად და გამოსაძიებლად დაჰბეჭდა წერილი ბ-ნის დოლიძისა და საკვირველია, „ივერიის“ პასუხი, რომელიც შუქსა ჰფენდა ჭეშმარიტებისას ალ. ყაზიბეგის სასარგებლოდ განჯაში შეკრებილ სამის თუმნის საქმეს, უყურადღებოდ და უმნიშვნელოდ ჩასთვალა?!.

რა ვუწოდოთ ასეთს საქციელს „კვალისას“, რომელსაც ბაგეზედ ყოველთვის ჭეშმარიტების ძიება აკერია და სულ იმასა ჰლაღადებს, რომ ცხოვრების გზაზედ სიმართლის ლამპარი გვაქვს წინ წამძღვარებულიო?!.

## საპედაგოგიო ლექცია ი. როსტომაშვილისა.

13 ნოემბერს ტფილისის სახელმწიფო თეატრში, დაპირებისამებრ, ბ-ნმა ნ. პ. როსტომაშვილმა წაიკითხა თავისი ლექცია «საპედაგოგიო საკითხავებისა და აზრების შესახებ». ლექცია დიდად საყურადღებო იყო და გვეგონა, დიდის სიამოვნებით დაესწრებოდა ჩვენი ქართველი საზოგადოება, მაგრამ აქაც ჩვეულებრივმა გულ-გრილობამ იჩინა თავი. აქა იქ თუ მოსჩანდნენ ქართველი მასწავლებლები, თორემ დანარჩენებს სახლში ჯდომა უმჯობინებიათ.

ლექტორმა თავისი ლექცია ევგენი მარკოვის სიტყვით დაიწყო, რომელიც უჩივის აწინდელ საპედაგოგიო წესწყობილებას, და შემდეგ გადავიდა იმ საგანზედ, რომ აწინდელს პირველ დაწყებითს სასწავლებლებში უმთავრეს ყურადღებას იმას-კი არ აქცევენ, რომ ბავშვს, სწავლა-მეცადინეობა შეაყვარონ და მომავალისათვის, უფრო ძნელის სწავლის შესაგნებლად მოამზადონ,

გულისკენ ამ საშვალებით გზა გაეკვლია. დაიბარა თვითეული საზოგადოებიდგან თორმეტ თორმეტი სანდო და გარემოების მცოდნე კაცები, ყრილობის მიერ ამორჩეულნი და გამოჰკითხა მათ ყველაფერი დაწვრილებით. შეუწონა ამათი ნაჩვენები თავისს ხელქვეითების მოხსენებას. მიხვდა მალე სოფლის საჭიროებას, მიაგნო არამზადა საეჭვო ყოფაქცევის კაცებს, ყველა ესენი ერთს შავს წიგნში მოაქცია, ხელწერილი ჩამოართვა, ყოველ ფეხის გადადგმაზე უთვალთვალებს ამათ და ამბობს: „ყოველ ღონის ძიებას ვიხმარ, რომ სწორ გზას გადამცდარი, გზადაბნეული ადამიანი გონიერი სიტყვით მოვალღვთისნიერო, ექმი ადამიანი საქმეს შევაჩვიო და სოფლის საცარცვავად მიმართული ხელები, სოფლის სასიკეთოდ ვამოქმედოვო.“ მოხდა თუ არა ამ ხნის განმავლობაში ჩვენში რაიმე დანაშაულობა? არც უმისობა ყოფილა. ერთს გლეხს ნიკოლაიშვილს მამა შემოაკვდა.—მეორემ მარგალიტაძემ სიმთვრალეში მოჰკლა აზნაური ქარციაძე. იქნება ჩვენი ქვეყნის უწინდელს მმართველობას ორივე ყაჩაღად გავარდნილი ეგონოს! არა. ერთიც და მეორეც გულ-დადებით მუშაობენ თავიანთ ოჯახში და აზრადაც არ მოსდით სამართალს გაექცენ. ნიკოლაიშვილი ორ დღეს იმალებოდა, მესამე-კი მაზრის უფროსს გამოეცხადა ამ სიტყვებით: „ღმერთი გამიწყრა, მამა შემომაკვდა. მამის მკვლელის სახელით სიარული, სინიდისის ქენჯნა ჩემთვის აუწერელი სასჯელია, მაგრამ მე სიამოვნებით ვეძლევი მართლმსაჯულებას ხელში. არ მინდა დაუსჯელი დავრჩე და კანონით გადაჭრილს სასჯელს ორივე ხელით ვიტვირთვებო.“ ასე მოიქცა ქარციაძის მკვლელიც. იმავე დღეს გამოეცხადა მაზრის უფროსს და მოახსენა: „უბედურება მეწია; კაცი შემომაკვდა. სამართალს მე არ გავექცევი, თავდებსაც მოვიყვან, მხოლოდ თქვენ ნუ მომექცევით ბარბაროსულად; მართლმსაჯულებას გარდაეცით ჩემი თავი და მისს განაჩენს უსიტყველად დავემორჩილებიო.“ შემოქმედის მამასახლისი, რომელიც სულ რამდენიმე თუმნის გამო ერთმა წინ დაუხედავმა მოხელემ მოთმინებიდგან გამოიყვანა და რომელიც ბექდით და ყველა მისი თანამდებობის შესაფერი ნიშნებით გაიქცა და ბრთვინის და ბათუმის მხარეში იფარავდა თურმე თავს, კარგი ხანია დაბრუნდა და სრული მორჩილება გამოუცხადა ახალს მაზრის უფროსს ალშიბაიას. მართვაც ამას ჰქვია ჩემის აზრით, რომ განწირული ადამიანი სოფელს დაუბრუნო და არა იმას, რომ ერთს დამთხვეულს ათი და ოცი მკვიდრობიანი მეოჯახე გამოუყენო კვალში შენის უდივრობით და სიმკაცრით. ნუ თუ ეხლაც არ დარწმუნდებიან ჩვენზე ცუდად-მზრახველნი, რომ იმ მმართველს შეუძლია ხალხში მყუდროების ჩამოგდება, რომელიც ხალხის გულში იხედება და სახარების სიტყვებით ხელმძღვანელობს და არა იმას, რომელიც მუშტზე და მათრახზე იცქირება? არც მარტო გარეგანის ჩამოგდებას უნდება ახალი ადმინისტრაცია. ამ მოკლე ხანში ერთ საზოგადოებაში ერთ კლასიანი სკოლა გაჩაღდა, სამში თითო კლასიანი გაორკლასიანდა, ზოგი სოფლის სასამართლო ჩინებულად მოეწყო, რამდენიმე მამასახლისი უვარგისად აღიარეს და მათ გამოცვლის შესახებ მოხსენება წასულა სადაც ჯერ იყო, ყველა სოფლებში გაცხარებული მუშაობა არის, გზები გაჰყავთ და კენჭს აყრიან და მგონი ორ სამ წელიწადში არ გაკეთებულა ჩვენში იმდენი გზა, რაც ამ ორი სამი თვის განმავლობაში გაკეთდა. საყურადღებოა თვით გზის კეთების ახალი წესი. წინედ ყველა შეძლებული, მარჯვე მუშა, ხელებით წელში გამაგრებულნი, გზის მუშაობიდგან თავისუფალი იყო. მამასახლისი თითონ აზატებდა, ვინც უნდოდა და როგორც გზა, ისე ყველა სასოფლო სამუშაო რამდენიმე ხულ-მოკლე და ბოგანო ოჯახს აწვა მთელის თავის სიმძიმით. წააფრინდებოდნენ მოხელე კაცები ამისთანა ულონოს და ყოველდღე ბეგარაზე მიაჩანჩალებდნენ. ისეც უნებურად მიდიოდა და სადმე გზის მახლობლად ეძინა, ერთს თოხსაც არ ჩამოუქნევდა, სრულებით დარწმუნებული, რომ მისი ერთი თოხის მოქნევა მთელის საზოგადოების გზას ვერას დააჩენდა. საწყალს ოჯახი-ოჯახად ექცეოდა და გზაც გაუკეთებელი რჩებოდა. ეხლა-კი დაწვრილებით იციან, თუ რამდენი მუშა ხელია თითოეულს ოჯახში და გზაც საჟენობით მიუზომეს მუშა ხელის კვალობაზე ყოველს მეკომურს. მოიცლის თუ არა გლეხი სხვა საქმიდგან, ძალა დაუტანებლად გარბის მიჩომილი გზის საკეთებლად. ამიტომ ვერც მოხელე კაცები ხმარობენ ბოროტად მინიჭებულს უფლებას და გზაც შესამჩნევი სისწრაფით კეთდება. თუ ასე წავიდა ჩვენი საქმე, მალე ყველა სოფელს მშვენიერი გზა-ტკეცილი ექნება და ეს პირველი და უდიდესი ნაბიჯი იქმნება ჩვენი ქვეყნის წარმატებაში. ამასგარდა იმედი გვაქვს, რომ გაგვიხშირდება ორ კლასიანი სასწავლებლები, წიგნთ-საცავები, ქალაქს ოზურგეთს მიენიჭება თვით მმართველობა, რადგან ამაზე ახალი მაზრის უფროსი თურმე უკვე შუამდგომლობს უმაღლეს მთავრობასთან და ვინ იცის, ნატვრა საზღვარ დაუდებელია, იქმნება სამეურნეო სასწავლებელებსაც-კი ვეღირსოთ. იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ აილაგმებიან მოსე მწერლები და მათი გულის მამასახლისები, რომელთაგან ჯერ სრულიად თავისუფალი არ ვართ და რომელნიც თავიანთ ხრიკებით ჩრდილს აყენებენ სხვა ფრივ ჩინებულს ახალს მმართველობას. ხალხს დიდი სიყვარული აქვს ჯერ-ჯერობით ახალი მაზრის უფროსის ალშიბაიასი, მადლობით იხსენიებს მის თანაშემწეს ბ. გამრეკელსაც, რომელიც ერთობ დაუზარებელი და ფხიზელია თავისს მოვალეობის ასრულებაში და სადაც ამდენი ნდობა არის, იქ რა არ გაკეთდება. გურულები კარგად აფასებენ მაზრის უფროსის გულ-შემატკივრობას და როცა ბ. ალშიბაია სადმე ყრილობაში წასასვლელად მოიცლის, ყველგან გულ-ახდილი უხვდებიან და არც ერთხელ იგი ყრილობიდგან გაწბილებული არ დაბრუნებულა. დასასრულ ვისურვებ, რომ ახალმა მაზრის პატრონებმა ახალი ცოცხის იგავი არ გაგვიმართლონ და ჩინებულად დაწყებული საქმე ჩინებულადვე დააგვირგვინონ თავიანთ სასახელოდ და ჩვენი ქვეყნის საბედნიეროდ, რითაც ისინი საუკეთესო ძეგლს აიგებენ გურულების ხსოვნაში.

არამედ სცდილობენ, რაც შეიძლება ბევრი ცოდნა „ჩაუდონ თავში“, და ამას-კი ბავშვის ნორჩი გონება ვერ იტანს და ჩლუნგდებაო. ამის გარდა, უმთავრესი ნაკლი ამ სასწავლებლებისა ის არის, რომ სწავლა მთელს 9 თვეს გასტანს ხოლმეო. „მოგეხსენებათო, სთქვა ლექტორმა, რომ ყველა სასწავლებელში არიან ერთის მხრით უფრო ბეჯითნი, უფრო ნიჭიერნი და აზროვანნი და მეორეს მხრით ზარმაცნი და მძიმე გონების მოსწავლენი. ერთს რომ სწავლა უძნელდება, მეორე მალე მიხვდება ხოლმე, მაგრამ რადგანაც გვერდში მეორე მძიმე-გულის-ყურიანი ყმაწვილი უზის, რის გამოც მასწავლებელი იძულებულია ერთი და იგივე გაკვეთილი აძლიოს ხოლმე მოსწავლეებს, რასაკვირველია, ბეჯითი მოსწავლე ბეზრდება, სწყინდება და, ეჭვი არ არის, რომ მის განვითარებაზედ გავლენას იქონიებს ასეთი მდგომარეობაო. ან კიდევ წარმოიდგინეთ, რომ რაიმე მიზეზისა გამო მასწავლებელმა ან მოსწავლემ ერთმანეთი შეიძულეს. ეხლა თქვენ განსაჯეთ რა ტანჯვით უნდა გაატაროს ყამაწვილმა მთელი 9 თვე! ამიტომაო, სთქვა ლექტორმა, უკეთესი იქმნება, ან შემოკლდეს ვადა სწავლისა, ან თითო კლასი ორ განყოფილებად განაწილდეს. ერთში მოთავსებულნი იქმნებიან ისინი, რომელთაც ორთა შუა რიცხვით „4“-ზედ ნაკლები ნიშანი არ ექმნებათ და მეორეში—ისინი, რომელთაც „3“-ზედ ნაკლები არა. ამ შეთხვევაში, არც ბეჯითნი მოსწავლენი იქნებიან ზარალში, რადგანაც ერთისა და იმავე გაკვეთილის მომზადება არ მოუხდებათ, რის გამოც, რასაკვირველია, უფრო ბევრს ისწავლიან და, არც გულის-ყურით მძიმე ყმაწვილები ჩამორჩებიან უკან. თუ ყოველი კლასი ასე ორად განაწილდება, მაშინ გამოცდაც წელიწადში ორჯელ რომ მოხდეს, ისა სჯობია, ერთი დეკემბრის გასულს და მეორე მაისის გასულსაო.

შემდეგ ლექტორმა მოიყვანა იან კომენსკის შესანიშნავი თქმულება და დასძინა, რომ თავისუფლება, შეგირდის ბუნების შესაფერად წვრთნა სწავლა და ბავშვების ცხოვრებისათვის მომზადებაა უმთავრესი დანიშნულება სასწავლებლისაო. ჩვენ უნდა აღვზარდოთ მომავალნი მოქალაქენი, ღირსეულნი წევრნი საზოგადოებისანი და სახელმწიფოსანი და არა ის, რომ ბევრის ცოდნით უდრო-უდროოდ თავი გამოვუბრუოთ. ამიტომ კარგი იქმნება, რომ გაკვეთილმა, ერთის საათის მაგიერ, 40 წუთს გასტანოსო. ბავშვისთვის, როგორც ცოცხალის, მოძრავის და ჩჩვილის არსებისათვის ძალიან ძნელია მთელს საათს ერთს ადგილას დარჩენა და მალე ჰბეზრდებაო. 40 წუთი-კი რომ იყოს თითოეული გაკვეთილი, მაშინ ბავშვსაც შეღავათი მიეცემა და დროც ბევრი გვექნება, რომ უფრო სასარგებლო საგნები ვასწავლოთ, ვიდრე ეხლა ამ საჭირო საგნებს, მეტის-მეტად მცირე ადგილი უჭირავთო, მაგალითად, კარნახობით წერას, ანგარიშს, სამშობლო ენას და სხვა. გაკვეთილის შემოკლებას, ადგილობრივ ეროვნებათა ყმაწვილებისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა ექმნებათ და აი რისთვის: ადგილობრივ მკვიდრთა ყმაწვილებს განსაკუთრებით რუსულს ენაზედ ასწავლიან, და სამშობლო ენას-კი ძალიან ცოტა დრო და ადგილი აქვს დათმობილი. გაკვეთილის ვადა-კი რომ შემცირებული იყოს, მაშინ სამშობლო ენას ერთის გაკვეთილის ნაცვლად ორი-სამი გაკვეთილი დაეთმობა და ეს-კი აუცილებლად საჭიროა, რადგანაც მხოლოდ სამშობლო ენაზე არის დამყარებული სხვა საგნებისა რიგიანად შეთვისება. მხოლოდ სამშობლო ენის მეოხებით შეიძლება ბავშვის ნორჩმა აგებულებამ შეითვისოს და შეიყვაროს სწავლა-ცოდნა, და ის მეცნიერება, რომელიც დიდობისას, მაღალს სასწავლებელში წინ დახვდებაო.

ამასგარდა გაკვეთილების შემცირებას კიდევ ის სარგებლობა მოსდევს, რომ მეურნეობასა და ხელოსნობას უფრო ფართო ასპარეზი ექმნება, უფრო ბევრი დრო დაეთმობა. აქ ლექტორმა ბევრი ილაპარაკი მეურნეობის და ხელოსნობის სარგებლობაზედ და სთქვა, რომ ყოველის განათლებულის კაცისათვის სირცხვილია, რომ ეს საგნები ცოტად თუ ბევრად არ იცოდეს, რადგანაც ხელისა და თვალის მოხაზულობის ვარჯიშება გონებასაც აფართოვებს და კაცის აზროვნებას უფრო მტკიცე ნიადაგი ეძლევაო. დიაღ, საჭიროა მეურნეობისა და ხელოვნების შემოღება სასწავლებელში და აუცილებლად შემოღებულიც უნდა იქმნესო, მაგრამ ამ სწავლებას უტილიტარული, სარგებლობის, ხასიათი-კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ თვით მოსწავლეების გონების და ცოდნის განვითარებას უნდა ემსახურებოდესო. მე ჩემის თვალით მინახავს, რომ მოსწავლეების ჯაფით მოყვანილი რამდენიმე ურემი კომბოსტო გაუყიდნიათო. ეხლა ვიკითხოთ, რა საჭირო იყო უთუოდ ურმობით მოეყვანათ კომბოსტო და სხვა დარგი სასოფლო მეურნეობისა-კი უყურადღებოდ დაეტოვებინათ? არც ერთი სამეურნეო სასწავლებელი არ მინახავს, რომ ამ მხრით რიგიანად იყოს მოწყობილი. აქ, როგორც ეტყობათ, უფრო იმასა სცდილობენ, ბევრი კომბოსტო, კარტოფილი და სხვ. დაამუშავებინონ მოსწავლეებს და ურმობითა ჰყიდონ. ჩემის აზრით, საკმარისი იქმნებოდა 40—60 თავი კომბოსტო დაერგათ და აქითაც კარგა შეისწავლიდნენ მოსწავლენი კომბოსტოს მოყვანის ხელს. დანარჩენი დრო და ადგილი კიდევ სხვა დარგის შესასწავლად მოეხმარებინათ. ასეა თუ ისე, მეურნეობისა და ხელოვნების სწავლების დროს ყოველი იმისი დარგი უნდა ჰქონდეთ სახეში და მარტო ერთის დარგის შესწავლაზედ არ დააკარგვინოს დრო მოსწავლეს. თუ ასე იქმნება მოწყობილი ეს საქმე, მაშინ რამდენისამე დღიურის მაგივრად ერთი, ან ორი დღიურიც საკმარისი იქმნება. მაგალითად: რამდენიმე საჟენი შეიძლება მეურნეობის ერთს დარგს დაუთმონ, ერთი იმდენიც მეორეს და სხვანი.

შემდეგ ლექტორი შეეხო საპედაგოგიო საბჭოებს და სთქვა, რომ ეს საბჭონი შეიძლება ბევრსაც აკეთებდნენ, მაგრამ რაც შეეხება იმას, რომ მასწავლებლებმა ერთმანეთს ადევნონ თვალ-ყური, თუ ვინ რას ასწავლის ან რა მეტოდით ასწავლის, ან რა უნდა ასწავლოს მთელის კვირისა, თვისა და წლის განმავლობაში ამის შესახებ ხმაც არ ამოუღიათ და ყველა თავისს ნებაზედ ასწავლისო. დასასრულ ლექტორმა მიჰმართა ტფილელებს და სასწავლებელთა უფროსებს და ერთი აზრიც განუზიარა. კარგი იქნება სთქვა იმან, რომ თუ რამდენისამე სასწავლებლის დაარსება უნდათ ყველა სასწავლებლებისათვის გადადებული ფული ერთმანეთს დააკეცონ და ერთი სასწავლებელი დაარსონ. უფრო რიგიანი მეტოდითაო. ეს იმითი იქმნება კარგი, რომ მასწავლებლებსაც ბევრს მოიწვევენ, სასწავლებლის საქმეც, როგორც საერთო დაწესებულებისა, რიგიანად წავა და ეკონომიაც იქმნებაო. ლექტორმა თავისი ლექცია კომენსკის სიტყვებით დათავა და მოსურვა, რომ მის მიერ ოცის წლის განმავლობაში შემჩნეული ნაკლი აცილებული იქმნას და განხორციელდეს იმ ცვლილებათა შემოღების საქმე რომელიც მან დაინახა სასარგებლოდ.

საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა პატივცემული ლექტორი და ნასიამოვნები დაიშალა.

დასასრულ-უნდა ვსთქვათ, რომ-რაღა თქმა უნდა, ჩვენს ანგარიშში მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიეთ ყოველი ბ-ნ ლექტორის აზრი და დასაბუთება ამ აზრისა. საზოგადოდ, ყოველივე ნათქვამი ბ-ნის ლექტორისა დიდად საყურადღებოა და სასურველია, რომ ჩვენმა პედაგოგებმა უმნიშვნელოდ არ ჩაატარონ.

ც.

## წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. „კვალს“ ვიღაც ოზურგეთელი მეთვალყურე სწერს (იხ. „კვალი“ № 47), რომ ვითომ „საქორწ-საკილავად“ აგდით „ნამდვილი ქართული სახელი *) ხატი, ნახატი“ დიოგენ-ფარნაოზებს. არ ვიცით, ან მეთვალყურეს რად დასჭირებია ტყუილისა და სიცრუის თქმა და ან „კვალს“ რატომ გადაუფარებია ამ სიცრუისათვის თავისი მოწყალე კალთა? რაკი წერილს ჰბეჭდავდა, რატომ შენიშნათ მაინც არ უარ-ჰყო ეს ცილის-წამება თავისის კორესპონდენტისა „კვალის“ რედაქციამ და არ აუხსნა, რომ ვითომ-და „ივერიისაგან“ დაწუნებულს (?) დიოგენ-ფარნაოზს არაფერი არა უწერია-რა არც „ხატი“-სა და არც „ნახატი“-ს შესახებ?! აბა გვიჩვენონ ერთი სტრიქონი მაინც, ამ საგნის შესახებ დაწერილი დიოგენ-ფარნაოზისაგან“?!. ეს სიცრუე, ჩემის აზრით, იმ საგნით არის „კვალის“ მიერ საკვალეთიდგან გამოხოხოჩებული, რომ ხელის-მოწერის კადა დაუდგათ კვალისტანის დევ-გმირებს და მეფართლე ურიებსავით სცდილობენ თავისი საქონელი აქონ და სხვისი ამაგონ მუშტრის მასაზიდავად და საზოგადოების თვალის ასახვევად. დაგვისახელონ, რისი ნიშანია ეს სიცრუე, თუ არ ამ კოტრობისა?!

იმედია, რედაქცია დაბეჭდავს ამ წერილს და ამითი შემლებს მომცემს უარ-ვყო ის ცილი, რომელიც „კვალის“ ოზურგეთელმა მეთვალყურემ და თვით „კვალმა“ ერთად დამწამეს. რაც შეეხება სიტყვას „დაწუნებულს“, მე სამარცხვინოდ მიმაჩნია ჩემთვის ამის შესახებ ბაასიც-კი იმ კაჟბატონებთან, რომელთაც ლიტერატურულს ზრდილობას დიდი ხანია წიხლი ჰკრეს და უკუ აგდეს.

თქვენი თანამშრომელი
დიოგენ-ფარნაოზი.

ტფილისი, 14 ნოემბერი

*) საბრალო „კვალის“ ოზურგეთელს მეთვალყურესა და თვით „კვალსაც“ გულუბრყვილოდ ჰგონიათ, რომ „ხატი“ „ნამდვილი ქართული სახელიაო“. ვინმე ეფენდისა და ჰაჯისათვის მაინც მიემართათ და ყველა აუხსნიდა, რომ „ხატი“, ქართული-კი არა, ნამდვილი არაბული სახელია და არაბულიდგან არის ქართულს ენაში შემოტანილი.

ავტ.


# განცხადებანი

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა, ბ. მ. მირიმანიანისა,

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(24—6.—2)

## თესლეულობის დეპო შულცისა

მოადგილე მ. ი. ფედოროვსკი

ფირმა არსებობს 1832 წლიდგან.

მოსკოვი, ბაღის ქუჩა, წითელ ჭის კარებთან, სახლი რაუზერისა.

სრული ნახატებიანი კატალოგი ბოსტნეულისა, ყვავილებისა და სოფლის მეურნეობის თესლეულობისა დაიბეჭდება 1894 წ. დეკემბრის თვეში. ჩვენს პატივცემულს მუდმივ ვაჭრებს კატალოგი უფასოდ გაეგზავნებათ. იმათი-კი, ვინც პირველად დაიბარებს კატალოგსა, კეთილ უნდა ინებონ და ოთხი შვიდ-შვიდ კაპიკიანი მარკა გამოგზავნონ. თუ სამს მანეთზედ მეტის თესლეულობას საფასურში დაიბარებენ, მაშინ ეს ფული ჩაერიცხებათ. ყველა თესლეულობა სამზღვარგარეთის ცნობილს მრეწველებისგან არის გამოწერილი და ჩვენს დეპოში შემოწმებული ამითი სიკეთე. ვისაც გამოწერა სურს რუსულად უნდა მოიწერონ.

(8—1819—6)

## პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ-სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

გ. ი. ფრანცუსი, 7—7½ საათ-სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

კბილის ექიმი

## ვ. ი. ჭიჭინაძე

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—34)

## ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

**ისყიდება:**

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

**ოსანა მკითხავი**

მოთხრობა

თავ. იასონ ციციშვილისა

ფასი 15 კაპ.



Дозволено цензурою, Тифлисъ 15-го Ноября 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.